№ 11 ყოველდღიური გაზეთი

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი 1. პარასკევი 13 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ უფრო მეტი, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გამოცხადების გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები ა რ დ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ა რ ი ნ ა ხ ე ბ ა. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა სათუსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფ ა რ თ ლ ე უ ლ ო ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

საკეჭრო სახლი ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ტერეზი გოგიბერიძე, პლატონ ჯაჯანიძე, ალექსი გოგიბერიძე, ნინო, გიგო, დიმიტრი, ერმილე ალექსანდრე შარაშიძეები გულითად მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილის, მეორე—მეუღლის, მესამე დის და დანარჩენნი უძვირფასესის დისწულის

პელაგო ჯაჯანიძის,

გარდაცვალებას ცემში მიცვალებულს მოასვენებენ ქუთაისში პარასკევს 13 ივლისს ვაგზალზე დილით. დაკრძალვა მოხდება ამავე დღეს დილის. აქედან 9 ს. მიცვალებულს პირდაპირ წაასვენებენ საფირჩხიის სასაფლაოზე.

ალექსანდრე დავითის ძე შარაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი დისწულის

პელაგო ჯაჯანიძისას

დაკრძალვა მიცვალებულის მოხდება 13 ივლისს დილით 9 საათზე.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—9—1

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. და 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი „თემი“ წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „ТЕМИ“. რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

უ-უმჯობესი „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“: ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6. 20—9—1

განცხადებანი

თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაიშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-ღე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში. სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და სად. 5—7 საათ.

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ლეჩულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

## ფელეტონი

# ძველი და ახალი.

როგორც იყო, მესამე სათათბირო მიიცვალა, მიიცვალა ძალდაუტანებლათ, ბუნებრივი სიკვდილით. ჩვეულებრივათ გადაცვალებულს უსურვებენ საუკუნო ხსენებას. უეჭველია ასეთსავე ხსენებას უსურვებენ მრავალნი ახალ გადაცვალებულსაც. მარა არა მგონია ამათ ფერხულში ჩაებას მოწინავე რუსეთის თუნდაც ერთი უკანასკნელი წევრიც. „მორჩილი“ დუმა სიკვდილს შემდეგაც ორათ ყოფს საზოგადოებას: ერთი ნაწილი მას მისტირის და ეთაყვანება, მეორე ნაწილი კი მას წყევა-კრულვას უგზავნის და სიხარულით ეთხოვება. პირველთ უყვართ ის სწორეთ იმისთვის, რისთვისაც მეორეთ სძულთ. ის უყვართ და სძულთ იმიტომ, რომ მან მოახდინა რუსეთის ყველა რეაქციონური ძალების სრული მობილიზაცია, შეკრა ამათგან დიადი ლაშქარი და თავისსავე წინამძღოლობით დამარცხებულ ბიუროკრატიას მიგვარა. ამაში გამოიხატა მესამე დუმის ისტორიული მისია და ეს საკმარისათ დიდი საქმეა, რომ მისი სახელი ახარებდეს ერთ ბანაკს და ანაღვლიანებდეს მეორეს. დუმამ იმუშავა ხუთ წელიწადს, გამოსცა აუარებელი კანონები, მიუხედავათ ამისა ჩვენ წინ დგას გადასაჭრელათ იგივე კითხვები, რომელიც იდგა ამ ხუთი წლის წინეთ: კითხვები კონსტიტუციური, აგრარიული, რელიგიური, ნაციონალური, მუშების და სხ. და სხ. მართალია ეს კითხვები არ შეცვლილა, მარა სამაგიეროთ შეიცვალა ის პირობები, რომელშიაც გვიხდება ამ კითხვების გადაჭრა. და აი ამ პირობების შეცვლაში დიდი წილი უდევს მესამე დუმას. მისი ნიშნობლივი თვისებაა ბრძოლა კონსტიტუციურ გარანტიებთან და „ინოროდცებთან“ (არა-რუსებთან). ესე იგი სრული თვითნებობა მართვა-გამგეობაში, დევნა არა-რუსების—აი მისი დროშა, რეაქციონური და ნაციონალისტური პოლიტიკა—აი მისი სავალი გზა. და თუმცა ის მიიცვალა, მარა ეს გზა, ეს პოლიტიკა მასთან ერთათ არ მიცვლილა; ის ცოცხლობს, ვითარდება, იბრძვის და იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. ამნაირათ, დუმა აღარ არის, არის მისი საქმე, მისი სული თავს დაგვტრიალებს და დაგვჩხავის.

გავლილმა ხუთმა წელმა დიდი ცვლილება მოახდინა პოლიტიკურ მუშაობაშიაც. საკმარისია გავიხსენოთ ის, რომ წინეთ საპარლამენტო პრაქტიკული პოლიტიკა არ არსებობდა. თვითოეული მოღვაწე თუ პარტია იბრძოდა თავის საერთო პრინციპების გასახორციელებლათ, სახელმწიფო წყობილების თავის პროგრამისებრ მოსაწყობათ. ეს იყო უფრო იერიშის და აგიტაციის ხანა. სულ სხვაა მესამე დუმის ხანა. აქ საჭირო შეიქნა ყოველდღიური ბრძოლა კონკრეტიული კითხვების გარეშემო; ეს კი მოითხოვდა საერთო პრინციპების გადატანას თვითოეულ პოლიტიკურ შემთხვევაში, მათ, ასე ვთქვათ, გადახურდავებას პატარ-პატარა ნაწილებზე, რომელთა ჯამი შეადგენს ერთ მთელ პრინციპიალურ შეხედულობას. მესამე დუმამ წინ წამოაყენა ყოველნაირი წვრიმალი კითხვები, ამით ყველა ფრაქცია იძულებული გახადა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება ამ კითხვების მიმართ. და რადგანაც, დუმის მთავარი მუშაობა გამოიხატა ნაციონალისტური პოლიტიკის შექმნაში და გატარებაში—ამიტომ ფრაქციები იძულებული შეიქნენ თავისი ნაციონალური პოლიტიკაც შეემუშავებიათ. საეჭვო აღარ არის ის, რომ როგორც მომავალი არჩევნების, ისე მეოთხე დუმის ჩარხი ისევ ნაციონალურ კითხვის გარშემო იტრიალებს. ამიტომ მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ აქ მთელ ჩვენ ყურადღებას ამ კითხვას მივაპყრობთ და მას ჩვენ შეხედულებას დაწვრილებით გავუზიარებთ.

როგორც ვთქვით, დღეს ნაციონალური კითხვა, ისე როგორც სხვა კითხვები, შედგება მრავალ კონკრეტიულ კითხვებისაგან. აქ არის კითხვა გადასახლების, შკოლის, ეკლესიის, სასამართლოსი და სხვა. ყველა ამების შესახებ დუმამ იმსჯელა, შესაფერი კანონებიც კი შეიმუშავა—ერთი სიტყვით ნაციონალურ-პრაქტიკული პოლიტიკა აწარმოვა. ასეთივე პოლიტიკა აწარმოვეს ჩვენმა დეპუტატებმა. თავის თავათ ცხადია, რომ კონკრეტიული კითხვის გადაჭრა მჭიდროთ დაკავშირებულია საერთო პრინციპიალურ შეხედულობასთან, როგორიცაა პრინციპი, ისეთია პრაქტიკაც.

ამ ხუთი-ექვსი წლის წინეთ ჩვენ მოწინააღმდეგენი გვისაყვედურებდენ (და დღესაც გვისაყვედურებენ)—სრული ნაციონალური პროგრამის უქონლობას. ეს საყვედური რამდენიმეთ მართალი იყო. ჩვენ არ გვქონდა დაწვრილებითი პროგრამა ნაციონალურ კითხვაზე. და ეს არც საჭირო იყო. იმ დროს, როცა ბრძოლის საგანი იყო ცენტრალური მართვა-გამგეობის შეცვლა, როცა ყველა პარტიის და ყველა ერის ყურადღება მიიქცა ცენტრისაკენ, აი ამ დროს ადგილობრივი კითხვებით ხალხის დაბანდება, საერთო მოძრაობიდან გამოთიშვა და მისი შინაურ ფარგლებში ჩაკეტვა—აუცილებლათ მოასწავებდა საერთო მოძრაობის დასუსტებას და კონტრ-რევოლიუციის ხელის შეწყობას. ამას გრძობდა ყველა ერის ხალხი და ამიტომ ნაციონალისტების ჰანგებს არ მიყვებოდა. თვით ისეთი ნაციონალისტურ-სოციალისტური პარტია, როგორიც იყო პოლონეთის პ. პ. ს., მოძრაობის დროს მანაც კი უარყო თავისი პროგრამის მთავარი ნაციონალისტური მუხლი (პოლონეთის განცალკევება რუსეთიდან) და საერთო ფერხულში ჩაება. თვით ფინლიანდიაც, რომელიც არასოდეს არ ჩარეულა რუსეთის საქმეებში, ტოვებს თავის კანცალკევებულ მოქმედებას და ყოველივე საშუალებით ეხმარება რუსეთის მოძრაობას. ერთი სიტყვით, ყველა ერის ყურადღება საერთო მიზნისაკენ იყო მიმართული, ამ მიზნით იყო გარემოცული მთელი მოძრაობა და რაღა გასაკვირალია ნაციონალური პროგრამა საბოლოოთ არ გამოგვემუშავებია. მხოლოდ ჩვენმა ნაციონალისტებმა ვერ აართვეს ალღო მდგომარეობას, მხოლოდ მათ ვერ შეიგნეს დროის საჭიროება და სწორედ მოძრაობის დროს წამოაყენეს თავისი ადგილობრივი დროშა, წამოაყენეს და სასტიკათ დამარცხდენ. მაშინ საქართველოს დროშა ნიშნავდა რუსეთის დროშის უარის ყოფას, ე. ი. უარისყოფას იმის, რისთვისაც მთელი იმპერია იბრძოდა. ნაციონალისტების უტაქტიკობა გამოიხატა სხვათა შორის, იმაშიაც რომ თავისი ადგილობრივი დროშის აფრიალებით იძულებული გახადეს ხალხი სრულიად უყურადღებოთ დაეტოვებიათ ადგილობრივი კითხვები; ის ჩააყენეს ალტერნატივაში: ნაწილი, თუ მთელიო და მას არ შეეძლო უკანასკნელი არ აერჩია. ის გაყვა რუსეთის დროშას.

მეორე მხრით, ამ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობამ და ნაციონალისტების უტაქტობამ დაბადა ჩვენს თანამოაზრეთა შორის ერთნაირი ნიჰილისტური შეხედულობა ნაციონალურ კითხვაზე. ბევრისათვის ცენტრალიზმი შეიქნა დოგმათ; ის ტაქტიკური კითხვიდან გადაიქცა პრინციპიალურ კითხვათ, ხოლო ადგილობრივი კითხვები გამოცხადდა ბოროტებათ. ავტონომია და სეპარატიზმი ყოველ ერში და ქვეყანაში მავნებელია, ის პრინციპიალურათ უარსაყოფია—აი მაშინდელი გავრცელებული აზროვნება. ამ მიმართულებას თავისი ლეგალური ორგანო ქონდა და ნაციონალისტებს ლეგალურ ნიადაგზე ის ებრძოდა. მართალია, ჩვენი, ასე ვთქვათ, ოფიციალური აზროვნება ამისაგან განსხვავდებოდა, ჩვენი რეზოლიუციები და წერილები ამას არ ეთანხმებოდა, მარა მასაზე პირველს მეტი გავლენა ქონდა, ის უფრო ეწყობოდა მასის პსიხოლოგიას და მიდრეკილებას. გარდა ამისა ნიჰილიზმი, ისე, როგორც ნაციონალიზმი, თავისი სიმარტივით ადვილი გასაგებიცაა! აქ ბევრი თავის მტვრევა და ფიქრი საჭირო არ არის ვინც ცენტრალიზმის მომხრეა—აქეთ გადმოდით, ვინც დეცენტრალიზაციის—იქით, აი როგორ გაამარტივეს რთული კითხვა. ჩვენი მიმართულება იყო მესამე, ორივეზე უფრო რთული და ძნელი გასაგები. ჩვენ უარს არ ვყოფდით პრინციპიალურათ არც ავტონომიას, არც სეპარატიზმს. ჩვენ არ დაგვიწუნებია არც პოლონეთის ავტონომია, არც ნორვეგიელთა გამოშორება შვეციიდან. ეს კითხვები ჩვენთვის არის პრაკტიკის და არა პრინციპის კითხვები. მათი ასე თუ ისე გადაჭრა ერთიანათ დამოკიდებულია ადგილობრივ კონკრეტიულ პირობებზე. ჩვენ ვებრძოდით საქართველოს ავტონომიას არა პრინციპიალური მოსაზრებით, არამედ პრაქტიკულის. აქ ჩვენ გამოვდიოდით კავკასიის ადგილობრივი პირობებისაგან, აქ ერთა შერევისაგან, მათი ეკონომიური კავშირისაგან და ვამბობ-

**მქიმი** მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.
გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 9—თ.

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) спеціальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

## ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. **„ჩვენი ცხოვრება“-ზე.** მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინაალმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

**გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.**

## ადგილობრივი პრესა.

პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო—ამბობს პოეტი ი. ჭავჭავაძე. მარა სწორეთ ისინი, ვინც მისი სახლის გარშემო დაუსრულებელ განგაშსა სტეხდენ და სტეხენ დღესაც, ერთხელაც კი არ ასრულებენ ამ წმინდა მცნებას. პირიქით, მათი ფარ-ხმალი მოპირდაპირის დასამარცხებლათ უსირცხვილო სიცრუე და დემაგოგიაა.

ჩვენი გაზეთის მე 6 № ში, პრესაში აღვნიშნეთ „ქართლი“-ს და მასთან ერთად „სახალხო გაზეთი“-საგან ჩვენი დეპუტატების სრულიად უსაფუძვლო კიცხვა-ყვედრება: ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამზე ხმას არ იღებენო. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ, პირიქით, არც ერთი საკითხი, რომელიც ჩვენი ერის ჭირ-ვარამს ეხებოდა, ჩვენს დეპუტატებს უყურადღებოთ არ დაუტოვებიათ და პირველი შემთხვევისთანავე მაზე თავისი აზრი გამოუთქვამთ. ქართული ენა, გადმოსახლება, სასამართლოები, ეროვნული უფლებები, გლეხთა მდგომარეობა, შკოლა, ეკლესია, ერობა და სხ. ყველა ეს იყო საგანი მათი ენერგიული მოღვაწეობისა სახ. დუმაში.

„ქართლი“-ს მესვეურთ კი ამათში მხოლოთ ორისთვის მოეკრათ ყური, შკოლასა და ეკლესიაზე ლაპარაკისთვის, ისიც ცალ-ყბათ. სახალხოელები ამაში კვერს უკრავდენ მათ და ასე სიცრუეს უდასტურებდენ. ჩვენ ეს აღვნიშნეთ, რასაკვირველია, და დავუმატეთ, რომ სხვა რომ არა იყოს რა **საგლეხო გაზეთს,** როგორც თავის-თავს უწოდებს „ქართლი“, ის მაინც უნდა სცოდნოდა თუ გლეხების შესახებ რა ილაპარაკეს და მოითხოვეს ჩვენმა დეპუტატებმა; მარა მან ეს დამალა და მით თავის მკითხველთა წინაშე ჩვენს დეპუტატებს ცილი დასწამა.

„სახ. გაზეთი“-ს დემაგოგები კი გახარებულან, რომ ჩვენ დეპუტატების ყველა ნამოქმედარი და ნათქვამი არ ჩამოვთვალეთ და ერთი ამბით ჩასძახიან მკითხველს:

> ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი ერის „მართლა მედგარ დამცველთ და მოჭირნახულეთ“ ერთი შეკითხვა შეუტანიათ მასწ. კუსტინოვიჩის საქციელის შესახებ, ერთი განცხადება ქართული ეკლესიების სიმდიდრეთა ტაცების და ერთიც კანონ-პროექტი დროებით ვალდებულ გლეხთა შესახებ, რომელიც სათათბირომ არ მიიღო და რომლის ნაცვლათ მთავრობამ („ქართველი დეპუტატების დაჟინებული მოთხოვნით“) „შეკვეცილი და შეზღუდული“ კანონ-პროექტი შეიტანა.
>
> აი მთელი „ფორმულიარნი სპისოკი“ ჩვენებური დეპუტატებისა თვით მათი დამცველი „ჩვენი ცხოვრების“ მიერ დადასტურებული და ბეჭედ დასმული. ჩვენ აქ არც მიგვიმატებია რამ და არც გამოგვიკლია.

ერთი უნდა ვკითხოთ ამ დემაგოგებს: როცა ამ სიტყვებს სწერდენ თავის სინიდის რას ეუბნებოდენ, თუ მათ მისი ანგარიშს გაწევის უნარი არ დაკარგვიათ? ნუთუ მათ არ იცოდენ, რომ ეს „ფორმულიარი სპისოკი“ არ არის და არც შეიძლება იყოს, მას შემდეგ, რაც თავშივე განვაცხადეთ—ჩვენ დეპუტატებს არც ერთი საჭირ-ბოროტო საკითხი არ დაუტოვებიათ პასუხ-გაუცემელი თქვა.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ დემაგოგიის სენით შეპყრობილ სახალხოელებს: დაამტკიცონ, რომ ამ სამ საკითხს გარდა არც ერთ ადგილობრივ კითხვებზე არ ამოუღიათ ხმა ჩვენ დეპუტატებს და თუ ეს მათ გონიერების ძალას არ აღემატება—დაგვისახელონ რამდენიმე მაინც მრავალ საჭირ-ბოროტო საკითხებიდან, რომელიც ჩვენი დეპუტატების ყურადღების ღირსი არ გამხდარა. და თუ ამასაც ვერ შესძლებენ, ნურას უკაცრავათ, თუ მათ საქციელს სიცრუით შეზავებული დემაგოგია ვუწოდოთ.

ჩვენ ამით შეგვეძლო ამ ხელათ სახალხოელებთან კამათი დაგვემთავრებია, მარა ერთი გარემოება კიდევ მოითხოვს აღნიშნვას: „სახ. გაზეთი“ დაჟინებით გაიძახის: აბა დამისახელეთ რა თვალ-საჩინო შედეგი მოყვა თქვენ მიერ რიხით ნახსენებ ქართველ დეპუტატების შეკითხვებს და სხ.?...

დიდი და უსაზღვრო პოლიტიკური სიბეცით უნდა იყოს ადამიანი შეპყრობილი, რომ ასეთი კითხვები დასვას. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ მესამე დუმისგან ხეირი ამ მხრით არავის უნახავს და ვერც ნახავდა. განა ამას მოელოდა კი მისგან ვინმე? შეიძლება ასეთი საარაკო პოლიტიკოსები „სახ. გაზეთის“ რედაქციას ამშვენებდენ, თორემ მათ გარეშე ასეთი არავინ მოიპოება.

მაშასადამე რა ფასი აქვს მათ განგაშს: განა ვინც უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი დეპუტატები გამოიტანდენ რასმე მესამე დუმისაგან.

რასაკვირველია ვერა, ეს ბარემ სახალხოელებმაც იციან, მარა როცა მოპირდაპირეს დამცირებას შეუდგებიან—მაშინ ასეთ უკადრის. და არა კეთილსინდისიერ საშვალებასაც არ თაკილობენ....

# ახალი ამბები.

ამ დღეებში ქუთაისს ესტუმრა პეტერბურგის ცნობილი ჟურნალისტი—პროფესორი ალ. სერ. ანდრიანოვი. ანდრიანოვი წამოსულა პეტერბურგიდან კავკასიის დასათვალიერებლათ. ბესლანიდან კავკავში შეუხვევია, იქ დარჩენილა 2 დღე, კავკავიდან ალაგირში წასულა, ხოლო ალაგირიდან ფეხით გამომგზავრებულა სამხედრო-ოსეთის გზით. გზაში დაუყოვნებია 7 დღე, დაუთვალიერებია ყველა ის ადგილები, რომელიც გზა-გზა შეხვედრია. ქუთაისში ჩამოსულა ივლისის 6. აქედან გამგზავრებულა ხონის გზით ნოქალაქევში, უნახულებია დეპუტატი ევგ. პ. გეგეჭკორი. მასთან ერთად დაუთვალიერებია მარტვილის მონასტერი, სადაც მას პატივისცემით შეგებებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ყ-დ სამღ. ლეონიდე. ლეონიდეს განუმარტავს სტუმრისთვის მონასტრისა და მასში დაცული სიძველეთ ისტორია და საზოგადოთ საქართველოს ისტორიასაც შეხებია მოკლეთ. მარტვილიდან ანდრიანოვი ისევ ქუთაისში დაბრუნდა. აქ დაათვალიერა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, შემდეგ ინახულა მოწამეთის და გელათის მონასტრები, რომელთა ძველი მხატვრობათა და იქ დაცულ სიძველეთა სიმდიდრით ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ანდრიანოვი მომავალ წელსაც აპირობს უფრო დიდი ხნის ვადით კავკასიაში გამომგზავრებას კავკასიის დაწვრილებით შესასწავლათ. ქუთაისიდან იგი ჩაქვს გაემგზავრა, საიდანაც დაბრუნდება თფილისს და დაათვალიერებს ქართულ ისტორიულ მუზეუმს, სიონის ტაძარს და სხვ. სიძველეთ.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლომ დაადგინა მომრიგებელი სასამართლო გადატანილ იქნას ნაოლალევიდან ბანძაში.

✦ ქუთაისში იალტიდან ჩამოვიდენ იალტის საბალოსნო სასწავლებლის შეგირდები მასწავლებლების თანხლებით. შეგირდებმა მასწავლებლებითურთ დაათვალიერეს ქუთაისი და 10 ივლისს თფილისისაკენ გაემგზავრენ.

✦ **გუშინ** დ. ნაოლალევიდან ქუთაისში ჩამოვიდნ დეკანოზი **კაპიტონ გაწერელია** და ექიმი **იასონ ჟორდანია.** ამელამ ისინი ქუთაისიდან გაემგზავრებიან თფილისს. ამათ დავალებული აქვთ წარსდგენ ნამესტნიკის თანაშემწის ბ-ნ ვატაცის წინაშე და სთხოვონ რომ სასამართლო, რომელიც 33 წელიწადი დაბა ნაოლალევში არსებობდა და რომლის გადატანა დღეს გადაწყდა ბანძაში, დატოვებულ იქნას ისევ ნაოლალევში.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატა მარიობისთვეში ქუთაისში გაარჩევს ფარნა გეგელიას საქმეს. ფარნა გეგელიას ბრალდება სამეგრელოში აგრარიული მოძრაობის ხელმძღვანელობა.

✦ როგორც ბათუმიდან გვატყობინებდენ—„ბათუმის გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემელს ჭელიძეს კომენდანტმა აუკრძალა ქ. ბათუმში ცხოვრება.

✦ სვირის სადგურთან, როგორც იქიდან გვატყობინებენ, ცხენს გადმოუგდია ახალგაზრდა ქალი გამყრელიძე. დაშავებული ქალი გარდაცვლილა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს ნება დაურთავს ბ-ნ გუჩკოსთვის გახსნას ქუთაისში კერძო ბიბლიოთეკა. [illegible] ბა ახლო მომავალში ბინის დაქირავებამდის და სამკითხველოს გახსნა—სამკითხველოში ექნებათ წიგნები და გაზეთები. სამკითხველოში შემსვლელთ გადახდებათ სასყიდლათ 5 კაპეიკი, მათ, ვინც წიგნებით მოისურვებენ სარგებლობას, თვეში 1 მ. 50 კ.

✦ ქუთაისის საზოგადო სასწორზე წელს აიწონა 8010 ფუთი პარკი.

✦ როგორც გვაცნობებენ ხონიდან, სამტრედიიდან, გურიიდან და სამეგრელოდან აბრეშუმის პარკის შემოტანა ბაზრებზე შეწყდა. ირკვევა-წელს გასულ წლებთან შედარებით პარკის მოსავალი ყველგან ნაკლები ყოფილა.

✦ 10 ივლისს საღამოს 9 საათზე ქუთაისში დააპატიმრეს პარმენ ხოხიაშვილი.

### თფილისი.

გაზეთ „კავკაზის“ ცნობით თფილისის გუბერნატორმა სახაზინო პალატის გამგეს თხოვა-რაც შეიძლება მალე დაინიშნოს ხარჯის ამკრები ინსპეკტორები საარჩევნო კომისიების წევრებათ.

✦ ცნობა. იმავე გაზეთის ცნობით თბილისის გუბერნატორმა ახალქალაქის და ახალციხის მაზრის უფროსებს წინადადება მისცა საჩქაროთ წარუდგინოს მას თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლთა მოადგილეების კანდიდატურა, რომელთაც სამაზრო საარჩევნო კომისიებში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

---

დით: ასეთ ყოფა-მდგომარეობაში ერთი კუთხის ხელოვნურათ გამოთიშვა სხვა კუთხეებისაგან—რეგრესიული მოვლენაა და სხ. ეს როგორც ხედავთ, გვარიანი რთული აზროვნებაა, და ამიტომ მასისათვის გაუგებარი დარჩა. მარა, რადგანაც ნაციონალური კითხვა მაშინ დღის კითხვა არ იყო, ის ხალხს არ აინტერესებდა—ამიტომ ჩვენი რეზოლიუციები ამ კითხვაზე უფრო პრინციპიალურ დეკლარაციას გავდა. ჩვენ ვამბობდით საზოგადოთ კავკასიის თვითმართველობაზე თავისი ცენტრალური ორგანოთი (სეიმი), ხოლო მის კომპეტენციას და შინაარსს არ ვეხებოდით. ჩვენ თავიდანვე მტკიცეთ დავადექით იმ აზრს, რომ კავკასია ან ამიერკავკასია უნდა შეადგენდეს ერთ თვითმართველ ერთეულს, ხოლო რა ზომის იქნება ეს თვითმართველობა—ამის გადაჭრა მომავლისათვის გადავდევით.

ჩვენ გვგონია ეს მომავალი უკვე აწმყოთ გადაიქცა; ჩვენი დეპუტატების მოღვაწეობა მესამე დუმაში, ერთი მხრით, და მრავალი კონკრეტიული ადგილობრივი კითხვების გადაწყვეტის საჭიროება, მეორე მხრით—ბადებს მოთხოვნილებას წინანდელ დეკლარაციებს შინაარსი მივსცეთ და რის გარკვევა მაშინ აუცილებელი არ იყო—დღეს გავარკვიოთ. ეს ნიშნავს შესაფერ დროს შესაფერი ლოზუნგის წამოყენებას, დროისთვის ფეხდაფეხ მიყოლას და პროგრამის თანახმათ პრაქტიკული პოლიტიკის წარმოებას.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ თავიდანვე კავკასიის თვითმართველ ერთეულის ნიადაგზე დავდექით და ყოველივე კუთხური გამოცალკევება უარვყავით. ჩვენ დღესაც ამ აზრს ვადგევართ და რაც დრო მიდის, მას მეტი საფუძველი ეძლევა.

კაი ხანია წავიდა ის დრო, როცა კავკასია ოცზე მეტ ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელ სამფლობელოს შეადგენდა და თვითეული ამათგანი საკუთარ ნივთიერ და პოლიტიკურ უღელს ეწეოდა. რუსეთის მოსვლამ მოსპო ეს სხვადასხვაობა და მთელი მხარე გააერთიანა. ეს ავია თუ კარგია—ამას არ ვკითხულობთ, დეე მაზე ცრემლები აფრქვიონ სხვებმა: ჩვენ აქ გვაინტერესებს ფაქტიური მდგომარეობა და აქედან ნაკარნახევი მოქმედება. რაკი გარემოება ჩვენდა უნებურათ ასე მოეწყო, რაკი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხე ერთმანეთს გადაეჯაჭვა ეკონომიურათ და პოლიტიკურ-ადმინისტრატიულათ, აშკარაა კუთხურ ნაციონალურ პოლიტიკას ნიადაგი აღარ აქვს და, თუ მაინც ამას აწარმოებენ—ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ქვეყნის საერთო განვითარებას. დღეს, მაგ., საქართველო აღარ წარმოადგენს ერთ ეკონომიურ ერთეულს, ის მჭიდროთ დაკავშირებულია კავკასიის სხვა კუთხეებთან. ქართველობა რომ რაიმე მანქანებით თავის საკუთარ საზღვრებში მოემწყვდეს—ერთ წელიწადსაც თავს ვერ დაირჩენს. ქართველ ხალხს აღარ ყოფნის თავისი ტერიტორია და ის მიდის სხვადასხვა მხარეს თავის სარჩენათ. ამიტომ ის დაინტერესებულია იმაში, რომ ამ ახალ ადგილებში მას აღარ ხვდებოდეს ხელოვნური დაბრკოლებები და ეკონომიურ ასპარეზზე თავისუფალ სარბიელს ხედავდეს. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი ნაციონალისტების იდეალი განხორციელებული. საქართველო შეიქნა ავტონომიურ სახელმწიფოთ თავისი საკუთარი სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებებით. ეს დებულება ალბათ განსხვავებული იქნება სხვა კუთხეების დებულებებისაგან, უამისოთ მათ განცალკევებულ არსებობას აზრი არ ექნებოდა და აი, ქართველი ხალხი, რომელიც დაძრულია თავისი კერისაგან და ადგილიდან-ადგილზე გადადის თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ხვდება სხვადასხვა იურიდიულ ზღუდეებს, ზოგს მის სასარგებლოს, ზოგს მავნებელს, ის ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამაებში იხლართება, დროს და ენერგიას ამათთან ბრძოლას ანდომებს და მთელი მისი ეკონომიური მოქმედება სუსტდება და ილევა. ხოლო თუ ავტონომიურ მთავრობამ რაიმე განსაკუთრებითი ზომები მიიღო, მზგავსათ პოლონელებისა გალიციაში, სხვა ერთა წინააღმდეგ თავისი ერის სასარგებლოთ, ამით ის გამოიწვევს ასეთსავე ზომებს მეზობელ ხალხებისაგან და გარეთ გასული ქართველობა იძულებული გახდება შინ დაბრუნდეს და სამშობლოს ვიწრო კალაპოტში ჩაიკეტოს. ორივე შემთხვევაში საქართველოს ეკონომიური განვითარება ფერხდება, ის შუაგზაზე იყინება და სხვილი კაპიტალისტური წარმოების მაგიერ სამუდამოთ ვჩერდებით წვრილ ბურჟუაზიულ საფეხურზე თავისი მეშჩანური სულისკვეთებით. ეს სანატრელი მდგომარეობაა წვრილი ბურჟუაზიული პარტიებისათვის და ამიტომ არც გასაკვირალია—მათი პოლიტიკური იდეალიც ამაზე შორს არ მიდიოდეს. ჩვენთვის კი სულ სხვაა, ჩვენი საბოლოო მიზანი შორს არის ასეთი იდეალებისაგან და ამიტომ **ვერ შევიწყნარებთ ისეთ პოლიტიკურ ურთი-ერთობას, რომელიც აფერხებს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას.** ყოველივე ის, რაც წინ გვწევს ეკონომიურათ, აძლიერებს მრეწველობას, აღებ-მიცემობას, მიმოსვლას, მეურნეობას, შრომას—მთელ ნივთიერ ყოფა-მდგომარეობას—აი ყველა ამის ხელისშემწყობ პირობებს ვემხრობით და ვიცავთ. ეს ჩვენი პრინციპია, აქედან გამოვდივართ მუდამ და ამაზე ვაშენებთ ჩვენს პოლიტიკურს, ეკონომიურს და ნაციონალურ მისწრაფებებს.

და აი ჩვენ ვამბობთ, კავკასიის ეკონომიური განვითარება ხდება და უნდა მოხდეს ადგილობრივი ერების ერთ უღელში შებმით, მათი საერთო ძალღონით და ერთი-მეორის დახმარებით. მათი იურიდიული კალაპოტი უნდა იყოს ერთი, ყველასათვის ერთნაირათ სავალდებულო და ხელისშემწყობი.

(შემდეგი იქნება)

**ნ.**

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ჰქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტამდე **თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში** და სხ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ახლა შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამისგამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდენ, ეს დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა ან ვინმე მართებულობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაქტები ძვირათ ფდება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხდება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარუდგინოს **ან ბინის წიგნი,** თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა,** რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა, დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ახლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

### საჭირო განმარტება

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ,) დანიშნეს უკანასკნელი ვადა (12 ივლისი) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მარა საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ. ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-57 მუხ. ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნი არიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს. რომ ქ. გამგეობამ ამომრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებლებმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

# მემამულეთა საარჩევნო კურია

როგორც ვიცით, არსებული საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვით ხდება სახელ. დუმის დეპუტატების არჩევნები, რამდენიმე ნაწილათ ანუ კურიებათ ყოფს ამომრჩევლებს.

ჩვენში ასეთი კურია ხუთია: 1. მემამულეების, 2. გლეხების, 3. ქალაქის ამომრ-

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. ტფილისში, გიორგიევსკში, ანდიჟანში, პიატიგორსკში და გროზნაში.

С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и Кº

მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. 3—9—3

ჩეველთა, 4. რუს ამომრჩევლების და 5. მუშების.

**მემამულეთა კურია.**

მემამულე ამომრჩევლები ორ ნაწილათ ..ფა: **სხვილი მემამულეები და წვრილი ..მამულეები.**

..ისაც მაზრაში უძრავი ქონება აქვს ..ადა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებუ..ებისა, რომელთა პატრონები, ქალა..ს არჩევნებში იღებენ მონაწილეობას) .. იხდის წელიწადში **საერთო გადასა..ადს არა ნაკლებ 30 მანეთისა,** ის სხვილ ..მამულეთ ითვლება და „ვიბორშჩიკების“ ..რჩევნებში **პირდაპირ** იღებს მონაწი..ეობას.

**წვრილი მემამულეებია** ისინი, ვისაც ..მული ან სხვა რამ უძრავი ქონება აქვს ..ავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები ..აც გამორიცხულია) და **წლიურათ იხ..ს 30 მან. ნაკლებს საერთო და სახელ..წიფო სამამულო გადასახადს.**

ვინც გლეხთა წოდებას ეკუთნის და ..ფლის ყრილობაში ხმა აქვს, ასეთებს ..ულიც რომ ქონდესთ და გადასახადსაც ..იდენ, წვრილ მემამულეთა კრებაზე .. მაინც არა აქვთ იმ მაზრაში, სადაც ..თი სოფელია. მაშასადამე წვრილ, მემა..ულეთა კურიას ეკუთნიან და მათ არ..ევნებში იღებენ მონაწილეობას მხოლოდ ..მდეგი პირები:

თავად-აზნაურები და სასულიერო წოდების პირნი (რომლებიც 30 მანეთზე ნაკლებს იხდიან), ქალაქის მცხოვრებნი, რომელთაც სოფლათ მამული აქვსთ და გადასახადს იხდიან, გლეხები, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლათ არიან შერიცხულნი ან საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი აქვთ გათავებული, მაზრაში მამული აქვთ და გადასახადს იხდიან და აგრეთვე სხვა მაზრის გლეხები, თუ მათ უძრავი ქონება მოეპოებათ და შესაფერ გადასახადსაც იხდიან.

აი ეს პირები შეადგენენ წვრილ მემამულეთა ამომრჩევლებს.

**სიების შედგენა.**

ზემოხსენებული წვრილი მემამულეების სიას ჩვენში ადგენს მაზრის საპოლიციო სამართველო და არჩევნების დანიშნვამდი ოთხი კვირით ადრე აქვეყნებს საგუბერნიო უწყებებში და აგრეთვე აკრავს საჯარო ადგილებში, რომ ყველა დაინტერესებულმა პირმა ნახოს და გაიგოს შეტანილია თუ არა სიაში.

თუ ვინმეს ხმა აქვს და სიაში შეტანილი არაა, შეუძლია ამის შესახებ განცხადება შეიტანოს ოფიციალურ სამაზრო საარჩევნო კომისიაში, **ორი კვირის განმავლობაში** დღიდან სიების გამოქვეყნებისა. ამისთვის მან უნდა წარადგინოს საბუთი, რომ ის იხდის გადასახადს (ასეთ საბუთად ე-წ. „ოკლადნოი ლისტი“ გამოდგება) და კამისიაც აღადგენს მის უფლებას.

**როგორ ხდება არჩევნები?**

მთავრობის განკარგულებით მაზრაში ერთ ადგილს, ან რამდენიმე ადგილას ინიშნება წვრილ მემამულეთა კრება. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით (ან და გუბერნატორი ნიშნავს თავმჯდომარეთ ერთ-ერთ მემამულეთაგანს, რომელსაც მაზრაში ხმა აქვს)-კრება ხმის უმეტესობით კენჭის ყრით **არჩევს იმდენ რწმუნებულს, რამდენიც სრული ცენზი** (ე. ი. 30 მანეთი) **შეუდგებათ გამოცხადებულ კრებაზე გამოცხადებულ წვრილ მემამულეებს.** ვთქვათ კრებას დაესწრო 50 კაცი, 300 მანეთის გადამხდელი, ეს 50 კაცი აირჩევს 10 რწმუნებულს (300: 30).

მთელ მაზრაში არჩეული წვრილი მემამულეების რწმუნებულები სრულ ცენზიან სხვილ მემამულეებთან ერთად ირჩევენ იმდენ „ვიბორშჩიკებს“, რამდენიც კანონშია აღნიშნული. ეს კრებაც მთავრობის განკარგულებით ინიშნება მაზრის უმთავრეს ქალაქში.

# დეპეშები.

(რუს. დეპ. სააგენტო).

11 ივლისი.

**კრასნოიარსკი.** კანის მაზრაში კოკისპირული წვიმის გამო ადიდებულმა მდინარე ბირიუსამ 7 სოფელი წალეკა. დაიხოცა ბევრი საქონელი და რკინის გზის ლიანდაგი გაფუჭდა, რის გამოც წესიერი მიმოსვლა დაირღვა.

**პეტერბურგი.** შტანდარტის რეიდზე ამ დღეებში შვეციის მეფის შეხვედრას მათი იმპერატორებითი უდიდებულესობასთან მათივე კეთილ სურვილის თანახმათ, წმინდა კერძო პიროვნული და ოჯახური ხასიათი ქონდა. მათ თან ახლდათ გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელსაც შემთხვევა ქონდა გამოეთქვა აზრი საზოგადო კითხვებზე, რომლებიც რუსეთისა და შვეციის ურთიერთობას შეეხება; ღინიშნა, რომ რუსეთი და შვეცია ურთიერთისადმი მშვიდობის მოყვარეობით არიან აღჭურვილნი და მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი შეერთებული ძალღონით ხელი შეუწყონ მეგობრულ განწყობილების განმტკიცებას; ამასთან გამოითქვა ის აზრი, რომ არც ერთი მხრით არაა განზრახვა და ვერც რაიმე ახალი პოლიტიკური კომბინაცია შეარყევს კეთილ განწყობილებას ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის, რაც ასე საჭიროა მათი შეთანხმებისათვის და ამნაირათ ამ ორი სახელმწიფოს მონარქიის შეხვედრა მათი მინისტრების თანხლებით ამტკიცებს მათ მეგობრობას, რასაც ორივ მეზობელი ქვეყანა საერთო თანაგრძნობით მიეგებ.

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მოისმინა მთავრობის განმარტება ხმელთა. შუა ზღვაში სამხედრო ფლოტის მდგომარეობის შესახებ. გრაფი სერბონნი ამბობს, რომ გერმანიის ფლოტი „ნემეცის ზღვაში“ თითქმის გამზადებულია საომრათ და მალე ხმელთა შუა ზღვაში გერმანიის მოკავშირეების ჯავშნოსნებიც გაჩნდებიან, ამიტომ ინგლისი ახლავე უნდა შეეცადოს, რომ შექმნას რვა ჯავშნოსანისაგან შემდგარი ახალი ესკადრა. სტატსსეკრეტარმა კრიუმ აღიარა, რომ მდგომარეობა სერიოზულია, მარა კრებას ურჩია, ნუ აყვებიან რადიკალებისგან გამოთქმულ ამაღელვებელ შეხედულებას.

ნავთსადგურის მუშების საერთო გაფიცვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სამუშაოზე ისეთი მუშებიც მიიღეს, რომლებიც არ არიან ჩაწერილნი მუშათა კავშირებში, მუშათა წარმომადგენლების კომისიამ პრევექტურის შუამავლობით თეპეშით თხოვა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრებს.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

**რომი.** ,,სტეფანის‘‘ სააგენტო იუწყება, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ დარდანელში ენახოთ იტალიელი მატროსის გვამი. ბოლონდელი დეპეშა გვარწმუნებს, რომ იტალიის ხუთივე ნაღმოსანი, რომლებიც სამი დღის წინათ დარდანელში შეიჭრნენ, მშვიდობით და უვნებლათ დაბრუნდნენ ასტროპოლს.

## წ. კ. გ. საზოგადოების ხონის განყოფილების წლიური კრება.

8 ივლისს*) მოხდა ქ. შ. წ. გ. ს. ხონის განყოფილების კრება; კრებას დაესწრო 19 წევრი და 20—25 არაწევრი.

თავმჯდომარეობდა განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ა. ბ. ჭიჭინაძე, პ. ლ. კიკალიშვილი. კრების განსახილველ საგნებს შეადგენდა:

1) წარსული წლის ანგარიშის დამტკიცება,

2) მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის მიღება,

3) გამგეობის წევრთა რიცხვის გადიდება,

4) გაზეთი „კოლხიდის“ შესახებ,

5) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა,

6) ახალ წევრთა მიღება.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებების შემდეგ, კრებამ დაამტკიცა 1911 წლის ანგარიში და უკამათოთ მიიღო 1912 წ. ხარჯთაღრიცხვა. უკამათოთვე იქნა მიღებული გამგეობის წინადადება, გამგეობის წევრთა რიცხვის ათამდი გადიდების შესახებ, რის შემდეგ პ. კიკალიშვილმა გამგეობის სახელით კრებას წაუკითხა ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება გაზეთი „კოლხიდის“ გამგეობისადმი დამოკიდებულების შესახებ.

—ბეჭვდითი სიტყვა—დაიწყო მომხსენებელმა—ერთი უძლიერესი იარაღია კაცობრიობის პროგრესისა; ყოველ-დღიური გამოცემა,—გაზეთი გამომხატველია საზოგადოებრივ აზრთა მიმდინარეობისა და, ამავე დროს, იგი ხელმძღვანელია საზოგადოებრივი აზროვნებისა. იგი თვალყურს ადევნებს ცხოვრების მაჯის ცემას, აღნიშნავს მის ცუდსა და კარგს მხარეებს; გმობს და კიცხავს ცუდს, აქებს და ადიდებს კარგს, ამით საზოგადოებას გზას უკვლევს და ემსახურება მის პროგრესს. ისტორიამ დიდი და საპატიო როლი არგუნა ბეჭვდით სიტყვას და ამისთვის იგი ვალდებულია ფრთხილათ და მოწიწებით მოეპყრას თავის მოვალეობის შესრულებას. ბეჭვდითი სიტყვის ასპარეზი—ეს ერთგვარი საკურთხეველია, სადაც ღვდელმოქმედებას უნდა ასრულებდეს განწმედილი და გასპეტაკებული ქურუმი. შემდეგ მომხსენებელი გადავიდა გაზეთ „კოლხიდის“ საქციელზე.

ამ უკანასკნელ ხანებში—განაგრძო მან—გაზეთი „კოლხიდა“ აკრიტიკებს ხონის განყოფილების გამგეობის მოქმედებას, მაგრამ მისი კრიტიკა მავნე ჭუჭის კრიტიკას წარმოადგენს. ჩვენ ვეცდებით ეს დებულება ფაკტებით დავამტკიცოთ.

და მართლაც, მომხსენებელმა ფაკტებით და არა ცარიელი სიტყვებით, როგორც ეს „კოლხიდასა“ და მის ხონელ კორესპონდენტს სჩვევია, ნათლათ დაუმტკიცა კრებას, რომ ყველა ის ცნობები, რაც ხონის განყოფილების გამგეობის შესახებ დაისტამბა გაზეთ „კოლხიდაში“, სიმართლეს მოკლებულია.

გაზეთმა „კოლხიდამ„ ბევრი მძიმე ბრალდებები მოახვია თავზე გამგეობას, მარა დამტკიცებით კი ვერც ერთი ვერ დაამტკიცა; ან როგორ შესძლებდა იმის დამტკიცებას, რაც სიმართლეზე ისეა დაშორებული, როგორც ცა დედამიწაზე?.. „კოლხიდას“ ზნეთ დასჩემდა ყალბი ბრალდებების წამოყენება, ცილის წამება, უსაფუძვლოთ შეურაცხყოფა, არამც თუ კერძო პირისა, არამედ მთელი კოლეგიისა. იგი არა მარტო კორესპონდენტის ცრუ ცნობებს სტამბავს, არამედ თვითონაც მოწინავე წერილების ბეჭვდით (იხ. ,,კოლხიდა‘‘ № 7.) ხელს უწყობს ყალბი ცნობების გავრცელებას. ყველა ეს დღის სინათლესავით დაამტკიცა მომხსენებელმა და დაასკვნა:

,,გამგეობა პროტესტს აცხადებს აქ, საზოგადოების წინაშე, გაზეთის ამგვარ საქციელის წინააღმდეგ და, აღინიშნა რა ყველა გამოსვლები გაზეთ ,,კოლხიდისა‘‘, სთხოვს თავის ამომრჩევლებს პირუთვნელი მსჯავრი დასდოს ამ გაზეთის ,,მოღვაწეობას‘‘ (ხსენებულ სფეროში) ხონის განყოფილების გამგეობის მიმართ‘‘

მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა თავმჯდომარემ ბ-ნმა ა. ჭიჭინაძემ. მისი სიტყვა ვრცელი და საინტერესო არის, მაგრამ მისი სავსებით აქ მოყვანა ბევრ ადგილს და დროს მოინდომებდა, ამის გამო მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ უფრო საინტერესო ადგილებს.

—ბატონებო! —დაიწყო მან—თქვენ წაგიკითხეს ახლა გამგეობის მოხსენება. მე, როგორც თავმჯდომარე გამგეობისა, თანაზიარი ვარ მისი, მაგრამ გთხოვთ ცოტა მოთმინება იქონიოთ და კიდევ მომისმინოთ რამდენიმე სიტყვა წამოყენებულ საგანზე. სამი წელიწადია, რაც არსებობს ხონის განყოფილება წ. კ. გ. საზოგადოებისა და მე და ისინიც, რომელნიც სხედან ჩემთან აქ ამ ჟამად, იმ თავითვე ვმსახურობთ გამგეობაში ვშრომობთ შეძლებისდაგვარათ. რაც საჭირო და სასურველი იყო გაკეთებულიყო ამ სამ წელიწადში იმ მიზნისათვის, რა მიზანიც წ. კ. გ. ს. დაუსახავს, უეჭველია მისი მეასედიც არ გაკეთებულა. მიზეზი ამისა სამგვარია: ერთი მიზეზი იმყოფება გარეშე ჩვენი საზოგადოებისა, მეორე თვით საზოგადოებაში, ხალხში და მესამე კი მოგვეწერება ჩვენ, გამგეობის წევრებს.

ორატორმა სათითაოდ განმარტა ეს მიზეზები; მან აღინიშნა, რომ ბევრი რამეს გაკეთებაში გამგეობას ხელი შეუშალა ნების არ დართვით მართველობის წარმომადგენლებმა და ამის საბუთიც მოიყვანა. მეორე მიზეზათ დაასახელა დაბა-სოფლების მცხოვრებთა უმეტესობის განუვითარებლობა. მესამე მიზეზი კი ის არის, რომ ყველა გამგეობის წევრებს სხვა და სხვა სავალდებულო საქმე აქვს, რომელსაც იგინი გვერდს ვერ შეუვლიან და ამიტომ შეუძლიათ განყოფილების საქმეებს მოახმარონ ის მცირეოდენი დრო, რომელიც მათ განკარგულებაშია.

შემდეგ შეეხო გაზეთ „კოლხიდს“.

— გაზეთი „კოლხიდა“,—განაგრძო ქვევით—როგორც ახლა მოგხსენდათ არა ერთხელ შეეხო ხონის განყოფილების გამგეობას, მარა შეეხო არა ისე, როგორც დარბაისელი ორგანო, დინჯი მიუდგომელი,—არა, იგი რაღაც მიბოჭილ-მობოჭილი და შეუმოწმებელ ცნობებზე დამყარებული ნებულობს უმართებულო სიტყვების თქმას საზოგადოებრივი დაწესებულების შესახებ: აბა, ერთი ვნახოთ ვინ არიან აქ გამგენიო! სტყუიანო, არა კეთილსინდისიერათ მოქმედობენო, ორპოფულათ იქცევიან, საზოგადოებაში ერთს ამბობენ და საქმით სხვანაირად იქცევიანო და სხვადასხვა. ბატონებო! ეს რასა გავს?!. რა სიტყვების კონა შეუკრავთ ამისთანა საუცხოვო? განა შეიძლება ასე უმართებულოთ შეხება მთელის დაწესებულებისა, გინა კერძო პირისა? რა საბუთი აქვთ ამგვარი ბრალდებისათვის? რა ცნობაზეა დამყარებული ამისთანა სიტყვა-პასუხი? ყველას შეუძლია დაიწუნოს ჩვენი მცირე მოღვაწეობა, შეუძლია გვითხრას—ცოტა რამ გაგიკეთებიათ, აჯობებს თავი დაანებოთ და სხვას დაუთმოთ ადგილიო. ეს შეუძლიათ გვითხრან და ჩვენც მზათ ვართ გზა დავულოცოთ, მხოლოდ ლანძღვას რას გვერჩიან და თანაც როგორ კადრულობენ. მიკვირს პატივცემული „კოლხიდა“ ასე დაუკვირებლათ რატომ მოგვექცა! რით ხელმძღვანელობდა, რა მოსაზრებით, რომელი თეორიით? მაგრამ ჰო, შეიძლება ამისთანა საქციელი „კუჭი-მუჭის“ თეორიაზე იყოს აგებული, რომელსაც ავრცელებდა ამას წინეთ ერთი მისი მუდმივი თანამშრომელი. შეიძლება ასე იყოს, რადგან სხვა საფუძველი არ სჩანს. მაგრამ მარტო „კუჭითა“ და „მუჭით“ შორს ვერ წავა ადამიანი და არა თუ ვერ წავა, პირიქით კისერსაც მოიტეხს. ბატონებო, მარტო კუჭი და მუჭი რომ ატრიალებდეს კაცობრიობას, მარტო ეს ორი ფაქტორი რომ ყოფილიყო ქვეყანაზე და სხვა არაფერი, მთელი ევროპა ბაშიბუზუკებით იქნებოდა სავსე და არა განათლებული ხალხებით, რომელნიც თავის ცოდნით გვწვრთნიან ჩვენ და გვანათლებენ. სამწუხაროთ „კოლხიდას“ დავიწყნია ერთი უმთავრესი ფაქტორი, ის ფაქტორი, რომელიც ბუნებას მიუნიჭებია ადამიანისათვის და დაუბინავებია მისი სხეულის უმაღლეს და უწმინდეს ნაწილში. ეს ფაქტორია, ბატონებო, გონება, რომელიც უზენაესმა ძალამ განაწესა ადამიანის ტვინში და ტვინი, როგორც მოგეხსენებათ, მოთავსებულია სხეულის საუკეთესო ნაწილში—თავში და არა კუჭში, არა მუჭში, რომელნიც წარმოადგენენ დაბალ გრძნობათა იარაღებს. მუჭი როგორ უნდა გაიქნიო და ვის ჩასცხო, ეს პირველად ყოვლისა გონებამ უნდა გადაწყვიტოს და არა კუჭმა.

ბეჭვდითი სიტყვა ღონიერი იარაღია, საპატიო და **ხამს მისი ხელთა ჭერა მეტად ფრთხილად, მეტად სუფთად.** „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს‘‘, სთქვა მგოსანმა და ეს სიტყვები უპირველეს მცნებათ უნდა მიიჩნიონ ჩვენმა პუბლიცისტებმა.

გთხოვთ, ბატონებო, დასდოთ თქვენი მსჯავრი. ბ-ნ ა. ჭიჭინაძის სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც და ყველა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ გაზეთ „კოლხიდამ“ ჩაიდინა უგვანო და გასაკიცხავი საქციელი. კამათის დასასრულ შეტანილ იქნა ორი რეზოლიუცია! ერთი რეზოლიუციის ავტორნი მოითხოვდენ, სრული ნდობა გამოეცხადებიათ გამგეობისათვის, ხოლო გაკიცხვა „კოლხიდისათვის“; მეორესი კი, თუმცა თანახმა იყვენ იმის, რომ ,,კოლხიდის‘‘ საქციელი გასაკიცხავია, მარა სთხოვდენ კრებას ლმობიერობა გამოეჩინათ და არ გამოეცხადებიათ გაკიცხვა, არამედ გაეფრთხილებიათ გაზეთი და ერჩიათ შემდეგში მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ. კრებამ ერთხმათ მიიღო პირველი რეზოლიუცია (რომელიც მოითხოვდა გაკიცხვის გამოცხადებას); არაწევრებიც, გარდა სამისა, რომლებიც მომხრენი იყვენ მეორე რეზოლიუციის, კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციას მიემხრო.

ამნაირათ გაკიცხულ იქნა კრების მიერ. ,,ულმობელებისა‘‘ და ,,შოლტების‘‘ საჯიროთ გაზეთი.

დასასრულ კრებამ აირჩია ახალი გამგეობა შემდგარი შვიდი კაცისა და სამი ქალისაგან; აირჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია, მიიღო ახალი წევრები და დაიშალა.

უსურვოთ ახალ გამგეობას ნაყოფიერი მუშაობა.

**ივ. ჭავჭანიძე.**

*) პირველათ კრება დანიშნული იყო 1 ივლისისათვის, მაგრამ გადაიდო, რადგან წევრთა საჭირო რიცხვი არ დაესწრო.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან.)

**ლენის ამბები.** მუშების გამოსვლა ბოდაიბოდან დასრულდება 17 ამ თვემდე; მუშები გამოვლენ ხუთ პარტიათ, მათი რიცხვი 5,132 კაცამდეა. ქვამადნებში სრული სიწყნარეა. გუბერნატორი რჩება საცხოვრებლათ მაღარო „ტიხონის“ ახლო.

— ვიტიმიდან იუწყებიან, რომ იქ გაუვლია მუშების პირველ პარტიას, გაუვლია ცნობილ როტმისტრ ტრეშჩენკოვს, რომელიც ცდილობს, რომ ის არავინ შეამჩნიოს.

**გაფიცვები.** რიგაში გასაფიცავათ მოწოდებისათვის პოლიციამ დააპატიმრა ექვსი მუშა, რომელთაც გუბერნატორმა დანაშაულის სიდიდის თანახმათ ერთიდან ოთხ კვირამდე ციხე მიუსაჯა.

— ამას წინეთ ვწერდით, რომ ტულის ტრამვაის მოსამსახურეთ გაფიცვა ვერ მოახერხეს. ახლა გუბერნატორი ირკვევს გაფიცვის მეთაურთ; რამოდენიმე მათგანი კიდეც დაიჭირეს.

**ებრაელების გადასახლება.** ნიკოლაევის ებრაელები აღელვებული არიან ძალით გადასახლების გამო. ადმინისტრაცია ასახლებს მათგან ყველა იმას, ვინც 1906 წლის შემდეგ დასახლებულა.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** ქერჩში ჟანდარმების განკარგულებით გაჩხრიკეს ოცამდე ინტელიგენტი და მუშა. მათ შორის გაჩხრიკეს მესამე დუმის მემარცხენე „ვიბორჩიკი“ სურკოვი და რამდენიმე ჟურნალისტი.

— გროდნოში გაჩხრიკეს სტამბა და რედაქცია გაზეთის „ნაშე უტროსი‘‘; გაჩხრეკის მიზეზი იყო--აღმოეჩინათ მსგავსება გაზეთის და იმ მოწოდების შრიფტისა,

საპაჭრო სახლი ი. გოკიელის შ-ბის საპაჭრო სახლი
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ სცნო შეამციროს დასწრის ფასი
საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.
ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—10—4

? დავით ქებაძე ? მ—10—4.

მკითხველების საყურადღებოთ
სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ჭურჭელი და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.
დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების
პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, ფასები შესამჩნევად დაკლებულია. მ—5—4

რომელთაც „ბუნდმა“ მეოთხე დუმის ამრჩეველთადმი მოწოდება გამოუშვა.

**ჯარიმა.** ბელოსტოკში გუბერნატორმა დააჯარიმა ორი პირი ას-ასი მანეთით და ექვსი ოცდახუთ-ოცდახუთით. მიზეზი ჯარიმისა პოლონურ ენაზე საიდუმლოთ სწავლებაა.

**ჟანდარმის დაჭრა.** კიშინიოვში სადგურ მამალიგაზე ორმა უცნობმა მძიმეთ დასჭრა ჟანდარმი რომელიც მათგან პასპორტს მოითხოვდა.

**ბურცევი და რაკოვსკი.** ბურცევის აზრით რაკოვსკი, რომელმაც ამას წინეთ პეტერბურგში დამცველ განყოფილების საიდუმლოებანი გამოამჟღავნა, თვითონ ერთ დროს იმავ დაწესებულებაში მოსამსახურე იყო, ხოლო დაბალი ხარისხის. ეხლა იგი ლიტერატურული ფანტაზისტიაო—დასძენს ბურცევი.

## უცხოეთი.

**ჩინეთი.**

ჩინეთში ჯერ კიდევ ვერ მოუმაგრებია ფეხი ახალ რეჟიმს—რესპუბლიკას. ძველსა და ახალს შუა ჯერ კიდევ ბრძოლაა და იმედიც არაა, რომ ეს ბრძოლა ახლო მომავალში დასრულდეს. გარდა შინაური ბრძოლისა, საქმეს ართულებს გარეშე პირობათა ხლართიც. სხვა სახელმწიფოების ინტერესი იყო—ჩინეთი ისევ ძველ მდგომარეობაში ყოფილიყო. საქმე ხანდახან იქამდისაც კი მიდიოდა, რომ გარეშე სახელმწიფოები ჩინეთის საქმეებში ჩარევას აპირობდენ, მარა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს.—სამაგიეროთ ეხლა მრავალ-გვარ დაბრკოლებას უყენებენ წინ. საქმე იმაშია, რომ ახალ რეჟიმს ხაზინა ცარიელი აქვს და სესხი უნდა, მარა ამდენი ხანია საქმე ვერ მოუგვარებია. ყველა სახელმწიფო იმასა ცდილობს, რომ სესხი რაც შეიძლება ძნელი პირობებით მისცენ ჩინეთს, ყველა ცდილობს, რომ ამ გზით რაიმე ჩამოაცალონ ამ ჯერ დაუწყნარებელ და მით დასუსტებულ ქვეყანას.

ამ მოკლე ხანში პეტერბურგში იყო იაპონიის რწმუნებული კაცურა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კაცურას ინგლისის მთავრობის თანხმობით პეტერბურგის კაბინეტისათვის წარუდგენია პროექტი ჩინეთის საქმეების შესახებ ინგლის-რუსეთ-იაპონიის შეთანხმებისა. პროექტის ძალით იაპონიას უპირატესობა უნდა ექნეს აქ ჩინეთის საქმეების ასე თუ ისე გადაწყვეტაში; ამასთანავე თავისუფლათ შეუძლია იმოქმედოს სამხრეთ მანჯურიაში. რუსეთს უფლება ეძლევა ჩრდილოეთ მანჯურიაში მოქმედებისა, ხოლო ინგლისს ტიბეტში. თუ ეს ამბავი მართალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ახალ სამთა კავშირს ჩინეთის ტერიტორიისთვის ხელის ხლება განუზრახავს. ვნახოთ რამდენათ გამართლდება ეს განზრახვა.

**პორტუგალიის მონარქისტები.**

მიუხედავათ იმისა, რომ პორტუგალიაში მონარქისტული მოძრაობა არა ერთხელ დაამარცხა ახალმა რეჟიმმა, ამ რამოდენიმე ხნის უკან კიდევ წამოუყეს ძველი რეჟიმის მომხრეებმა თავი. ისინი შედარებით დიდი ძალის მქონეთ ეჩვენებოდენ ყველას და იერიში მიიტანეს რესპუბლიკაზე. მარა მათი განზრახვა უნაყოფო გამოდგა და შედარებით ძლიერმა ახალმა რეჟიმმა ერთხელ კიდევ უკუაგდო ეს ბნელი ძალები. ამ დამარცხების შემდეგ მაინც უნდა სრულიათ დამარცხებულათ ჩათვალონ თავიანთი თავი ძველი რეჟიმის მოტრფიალეებმა და ამნაირათ ქედი მოიხარონ რესპუბლიკის წინაშე.

## დაბა-სოფელი.

**ქ. სოხუმი.** არა მგონია, სადმე ასეთ მდგომარეობაში იყოს რომელიმე ქალაქი, როგორშიდაც შავი ზღვის პირას მდებარე სოხუმია; არავითარი რიგიანი კულტურული დაწესებულება, არავითარი ცოცხალი საქმე აქ არ არის. აქაური სამკითხველო გაკოტრებულ ვაჭრის მაღაზიას მოგაგონებს. არც სხვა კულტურული დაწესებულებები,—დრამატიული წრე, სახალხო უნივერსიტეტია უკეთეს მდგომარეობაში; პირველმა ზოგიერთ ინტრიგან ვაჟბატონების წყალობით, რომლებსაც მხოლოდ თავისი კერძო ინტერესები ამოქმედებენ, მიიძინა და ფაქტიურათ აღარ არსებობს: — ვინ იცის როდემდის! მეორეც ძლივს დაფავს სულს.

ქალაქის მდგომარეობა ხომ სულ უარესია. ქალაქს წყალი არა აქვს, სანიტარული კომისიის წყალობით ქუჩები ნაგვითაა სავსე. პატარა წვიმის დროსაც ქუჩაში გავლა შეუძლებელია, სამაგიეროთ ძაღლები ბლომათ დაძრწიან ქუჩებში. ასე ბრწყინვალეთ აქვთ ჩვენს მამებს ქალაქი მოწყობილი. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალ არჩევნებში ქალაქის მამები პირნათლათ წარდგებიან თავისი ამრჩევლების წინაშე და საზოგადოებაც შესაფერი პატივისცემით მიეგებება მათ.

## მუშათა ცხოვრება.

**ნორმალური დასვენების შესახ. ქუთ. სავაჭროებში.**

ერთ თავსატეხ საკითხს, ქუთაისის ნოქრებისთვის და საზოგადოთ სავაჭრო და სახელოსნოებში მოსამსახურეებისთვის, შეადგენს კითხვა ნორმალურ დასვენების შესახებ. მხოლოდ მაგარი ის არის, რომ ამ საკითხს დამცველი აღარავინ ყავს. ასეთი დასკვნა პარადოქსალურია, თორემ სწორია, და აი რისთვის: ნეტარ ხსენებული დროის „პირველია ჩვენთვის“ წევრები—უკეთ ვსთქვათ—ყოფილი წევრები—დღეს უკვე გახაზეინებულან.

ახალ ალებს ანუ, როგორც ისინი უწოდებენ თავის თავს—ახალგაზდა ვაჭრებს—მიზნათ დაუსახავსთ ფული, და მხოლოდ ფული, და გამდიდრების მადით წაქეზებულნი ნაირ ნაირ მახინაციებს აწყობენ, რათა ზორბათ მოიგდონ ხელში ეს საზიზღარი ლითონი. გუშინ რომ ნოქრებათ იყვენ და ალები რომ ტყავს აძრობდენ—ამ მაგალითს მათთვის უქმათ არ ჩაუვლია. დღეს მათ თავის ყოფილ ალებისთვის წაუცილებიათ ხელობაში, და ცდილობენ თავის ნოქრებს ორი ტყავი გააძრონ.

ძველ ხაზეინებზე ლაპარაკიც მეტია ისინი თავიდან არ იყვენ ნოქრების დასვენების მომხრე, და რა თქმა უნდა, რომ დღესაც არ ღალატობენ თავის პრინციპს. ისინი მხოლოდ დახლთან გრძნობენ სიამოვნებას, და მათი ლაპარაკიც დახლს იქით არ მიდის. ისინი მუდამ დასვენებული არიან თუ დახლში ფულია—და ნოქრების დასვენება აბა რა მათი საქმეა.

სად არიან თვით ნოქრები, რაღას უცდიან ისინი, როდესაც მეზობელ ქალაქებში უკვე მოიპოვეს თანამოძმეებმა ნორმალური სამუშაო დღე? უსათუოთ ისინი ამოიღებენ ხმას, რომ საქმე სხვანაირად არ იყოს ჩახლართული: ერთი ნაწილი, უფრო ბობოლა და გავლენიანი ნოქრები, თუ სხვა ჯურის მოსამსახურეები ახლო მომავალში გახაზეინებას ელის, და აბა როგორ გაილაშქროს იმ კლასის წინააღმდეგ, რომელსაც ხვალ გვერდში უნდა ამოუდგეს და „პლატეჟის“ შესატანათ „ერთი ორასი მანეთი“ უნდა სთხოვოს „ხვალემდი“. ნოქრებთან თავის გაყადრება სახაზეინო კაცისთვის არ იქნება ვაჭრული ანგარიშით მოსაწონი და კიდევაც ერიდებიან. თუ საქმე გაკეთდა, მერე რომ შემოგვეზიარებიან, მისთვისაც მადლობელი უნდა დავრჩეთ ამ დიდ კაცებთან. ნოქრების მეორე ნაწილი კი—ეს მდაბიო ნოქრები ისე დაბეჩავებულია, რომ ხუთჯერ რომ ჩაკრა თავში „ნაკურთხი ცხვრის თავი“, ერთხელაც სწორათ ვერ შემოგხედავენ,—ისე მოთმინებით ზიდავენ თავის მძიმე უღელს. ასეთ დაბეჩავებულ ადამიანებს არავითარ შემთხვევაში მეთაურობის გაწევა არ შეუძლიათ. საჭიროა დრო და მუშაობა, რომ ეს დაბეჩავებული ხალხი გამოვიდეს თავის პასიურ — ინერციულ მდგომარეობიდან, შეკრას კავშირი ურთიერთ შორის და წამოაყენოს თავის ინტერესების შესაფერებელი მოთხოვნილება. ეს დროც შორს არ არის, მარა დღეს ნაადრევია.

ერთი წლის წინეთ, ნოქრებმა ქალაქის თვითმართველობას სთხოვეს ნორმალური დასვენების შესახებ გეგმის შემუშავება. გამოცხვა კიდევაც სავალდებულო დადგენილება, რომელიც მთავრობისგანაც დამტკიცებულ იქნა. მარა, როგორც მალე დამტკიც... უკაცრავათ, მალე არ დამტკიცებულა, მარა მალე კი დაირღვა. მისი დარღვევის მიზეზი დღესაც ბურუსით არის მოცული. იყო მართალია რამოდენიმე ვაჭრების თხოვნა დარღვევის შესახებ, მარა თუ რომელიმე პუნკტი უვარგისი შეიქნა, საჭირო იყო მისი გამოცვლა და არა მთელი დადგენილების გაუქმება. ხმა გავრცელდა, რომ წვრილ ვაჭრებში ფულები მოაგროვეს „ხელის ჭუჭყათო“ ეს ხმა ახლაც დადის. ვინ იცის, შეიძლება ეს „ჭუჭყია“ იმის მიზეზი, რომ დადგენილება მაუდს ქვეშ ამოეფარა და იქიდან ასე ძნელი გამოსატანი შეიქნა. ამას შემდეგ რაღა დარჩენიათ ნოქრებს, თუ არ მიმართონ სწორს და საიმედო, ნაცად საშუალებას.

**ქარი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

„მათრახის“ მეოთხე ნომერში მოთავსებულია ვინმე ბაირონის ბლაგვი, ვითომდა იუმორისტული ლექსი, რომელშიაც სხვათა შორის ჩვენ გვეხება. (მიკვირს რა დამოკიდებულება აქვს ბაირონს „მათრახთან“). მართალი გითხრათ არავითარი ხალისი არ გვქონდა ამ ბლაგვი მასხრობისათვის პასუხი გაგვეცა. მარა პასუხის გაცემა გვაიძულა იმ გარემოებამ, რომ მისი უშნოთ დაწერილი ლექსი ზოგიერთებმა უშნოთ გაიგეს—თითქო ჩვენ გლეხებს ჩვენი ჯიბის სასარგებლოთ ვაზღევინებდით 5 კაპიკს. ეს ასე არ არის. ყაფანი ქალაქიდან იჯარით აქვს აღებული ერთ პირს, მოიჯარადრეს, მას ყაფანზე აქვს თავის სასწორი, ყავს მწონელი. ნიხრს მეყაფნეს აძლევს ქალაქი და მისი მოვალეობაა თვალყური ადევნოს რას ახდევინებენ გლეხებს. ჩვენი მოვალეობაა—გლეხები დავიცვათ წონაში მოტყუილებისაგან, და უანგარიშოთ აწონილ პარკში რამდენი ერგება.

**კომისია.**

რედაქტორ-გამომცემელი **ა. სულაქველიძე.**

## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური—ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ჭყინტი ლობიო ათი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქარსოფილი—7 შაური—ორი აბაზი

ფ. ხახვი—ექვსი აბაზი.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—ცხრა შაური.

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი)—ცხრა შაური.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—სამი გირვანქა—თოთხმეტი კაპიკი, მეორე ხარისხის ცამეტი კაპიკი, მესამე ხარისხის თერთმეტი კაპიკი.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა 3 შაური. მეორე ხარისხის 14 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ათი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია—აბაზი—ექვსი შაური.

შეშა—ურემი შვიდი აბაზიდან—ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდი.

კიტრი—ასი სამ აბაზათ, არჩეული ოთხაბაზათ, ექვსი—რვა—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ რვა აბაზი დაურჩეველი თორმეტი აბაზი დარჩეული კაკალი

პამიდორი ფუთი—შვიდი—რვა აბაზი

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქალაქში ხუთი შაური სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

**მუშა ხელი.**

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი

**მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.**

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

„ჯეჯილი“
საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. **ოცდა მესამე წელიწადი.** მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარაებისათვის და მოზრდილთათვის. **ჟურნალი „ჯეჯილი“** თფილისში ეღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძეს, **ბაქოში**—ქ. მართა კვიტიაშვილს, **მიხაილოვში**—ვლად. ჩიქოვანს, **გორში**—კნ. თამარა თარხანიშვილს, **სამტრედიაში**—რაჟ. ნანეიშვილს, **ლავში**—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, **სიღნაღში**—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, **ჭიათურაში** ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, **ბათუმში**—მიხეილ კალანდაძეს.
რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

მდინარე ფაზისის პირათ, ჯეთრ ხიდთან
გაიხსნა საზაფხულოთ
მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ის
ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის
წვრილმათ სავაჭრო.
სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში